თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3783732

ნომერი: AR1563614

თარიღი : 26.12.2017

გაცემის თარიღი : 18.01.2018

გაცნობის თარიღი : 18.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:
- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 08 დეკემბერს №AR1563614 განცხადებით მომართა თამაზი მურვანიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება განაშენიანების რეგულირების (წითელი) და განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზების მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 30 ნოემბერს ქ.თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.038.373) უმაღლესი სასწავლებლის რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცდა №3698964 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანებით შეცდომით იქნა განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების (წითელი) და განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზები, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში ვერ მოხდება სამსახურის მიერ განსაზღვრული განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზის და განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზის დაცვა.

,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების თანხმად, განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი არის მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომელზედაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები. მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) შეიძლება დადგინდეს ერთი ან რამდენიმე ლურჯი ხაზი. ამავე დადგენილების თანახმად, განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზი არის მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომლის მიღმაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები; მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) შეიძლება დადგინდეს ერთი ან რამდენიმე წითელი ხაზი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანებაში, კერძოდ: ● მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობების და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის პუნქტიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი ,,განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი: (იხილეთ დანართი)'', ,, დანიშნულება: განაშენიანების ჩამოყალიბება'' და ,,შეზღუდვა: ძირითადი შენობა–ნაგებობა განთავსდეს განაშენიანების სავალდებულო ლურჯ ხაზზე; განაშენიანების რეგულირების ხაზის მიღმა შესაძლებელია განთავდეს ძირითადი შენობის დამხმარე ფუნქციის მქონე ნაგებობები: პანდუსი, კიბე, ფანჩატური და ა.შ'' და მათ ნაცვლად დაფიქსირდეს ,,განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი: -'' და ,,დანიშნულება: -''. ●გაფრთხილების ველიდან ამოღებულ იქნეს შემდეგი ჩანაწერი: ,,დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების რეგულირების და სავალდებულო ხაზები'' და მის ნაცვლად დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი: ,,დაცული იქნეს მიწის ნაკვეთზე განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი (იხილეთ დანართი)''.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანების თანდართული დანართი ჩანაცვლდეს წინამდებარე ბრძანების თანდართული დანართით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3698964 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ.თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge